

ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული
პესტიციდების საშიშროების
კლასიფიკაცია
და კლასიფიკაციის
სახელმძღვანელო მასალები
2019 წ.



ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული
პესტიციდების საშიშროების კლასიფიკაცია
და კლასიფიკაციის სახელმძღვანელო
მასალები

2019 წ.



დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE
CONTROL AND PUBLIC HEALTH

1980 წელს შეიქმნა ქიმიკატების უსაფრთხოების საერთაშორისო პროგრამა (IPCS). IPCS -ის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მეცნიერული საფუძვლების შექმნა, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ქიმიკატების ექსპოზიციის რისკების შესაფასებლად, დარგის სპეციალისტების მიერ საერთაშორისო დონეზე განხილვის პროცესის საშუალებით, როგორც ქიმიური უსაფრთხოების ხელშეწყობის წინაპირობა, და ტექნიკური დახმარების გაწევა ქიმიკატების რაციონალური მართვის მიზნით ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერების საკითხში.

ეს პუბლიკაცია მომზადდა IOMC-ის კონტექსტში. არ არის აუცილებელი, რომ შინაარსი ასახავდეს IOMC-ის მონაწილე ორგანიზაციების შეხედულებებს ან პოლიტიკას.

ქიმიკატების სწორი მართვის ორგანიზაციათაშორისი პროგრამა (IOMC) შეიქმნა 1995 წელს, გაეროს (1992წ.) გარემოსა და განვითარების კონფერენციის რეკომენდაციების შესაბამისად, ქიმიური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებისა და საერთაშორისო კოორდინაციის გასაძლიერებლად. მონაწილე ორგანიზაციებია: FAO, ILO, UNDP, UNEP, UNIDO, UNITAR, ჯანმო, მსოფლიო ბანკი და OECD. IOMC-ის მიზანს წარმოადგენს მონაწილე ორგანიზაციებთან ერთად თუ ცალკ-ცალკე, პოლიტიკისა და საქმიანობის ხელშეწყობა, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთან მიმართებაში ქიმიკატების სწორი მართვის მისაღწევად.

© National Center for Disease Control & Public Health of Georgia 2021

This translation was not created by the World Health Organization (WHO). WHO is not responsible for the content or accuracy of this translation. The original English edition **The WHO Recommended Classification of Pesticides by Hazard and Guidelines to Classification**. Geneva: World Health Organization; 2020. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO shall be the binding and authentic edition.

This translated work is available under the CC BY-NC-SA 3.0

ჯანმო–ს მიერ რეკომენდებული პესტიციდების საშიშროების კლასიფიკაცია და კლასიფიკაციის სახელმძღვანელო მასალები 2019წ.

„ჯანმო–ს მიერ რეკომენდებული პესტიციდების საშიშროების კლასიფიკაცია და კლასიფიკაციის სახელმძღვანელო“ დამტკიცდა ჯანმრთელობის 28-ე მსოფლიო ასამბლეაზე 1975 წელს და მიიღო ფართო აღიარება. მას შემდეგ, რაც იგი გამოქვეყნდა „ჯანმო-ს ქრონიკებში“ (WHO Chronicle), 29, 397-401 (1975), დანართი, რომელიც არ იყო კლასიფიკაციის ნაწილი, ასახავდა ზოგიერთი აქტიური პესტიციდური ინგრედიენტის და მათი ფორმულაციების კლასიფიკაციის მაგალითების ჩამონათვალს. მოგვიანებით, წევრმა სახელმწიფოებმა და პესტიციდების რეგისტრაციაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ინდივიდუალური პესტიციდების კლასიფიკაციისთვის საჭირო იყო შემდგომი მითითებები. გაიდლაინები პირველად 1978 წელს გამოიცა, და მას შემდეგ პერიოდულად ხდება მათი გადახედვა და ხელახალი გამოცემა.

2009 წლამდე ძალაში იყო ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის მიერ 1975 წელს დამტკიცებული გაიდლაინები შესწორებების გარეშე. 2009 წლის შესწორების შედეგად გაიდლაინებში შეტანილ იქნა ჯანმო-ს საშიშროების კლასების კლასიფიკაციის შეწორებული კრიტერიუმები, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო „ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების მსოფლიო ჰარმონიზებული სისტემა“ (GHS)¹. GHS პირველად გამოქვეყნდა იმ მიზნით, რომ შექმნილიყო გლობალურ დონეზე ჰარმონიზებული სისტემა ქიმიკატების, ეტიკეტებისა და უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლების კლასიფიკაციისთვის. GHS (შემდგომი შესწორებებით) ამჟამად, მსოფლიო მასშტაბით ფართოდ გამოიყენება ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირებისთვის.

ამ პუბლიკაციაში მოყვანილი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას პესტიციდების სწორად მართვის ღონისძიებების ხელშესაწყობად, WHO/FAO-ს პესტიციდების მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო კოდექსის² შესაბამისად. სახელდობრ, ეს პუბლიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ძლიერ საშიში პესტიციდების“ განსაზღვრისთვის იმ კრიტერიუმების გამოყენებით, რომლებიც შემუშავებულ იქნა FAO/WHO-ს ერთობლივ შეხვედრაზე პესტიციდების მართვასთან დაკავშირებით³ (კრიტერიუმები მოცემულია „ძლიერ საშიში პესტიციდების განმარტების“ ნაწილში).

დოკუმენტი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ნაწილი I: ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის მიერ რეკომენდებული პესტიციდების კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები. ეს პრინციპები კვლავ მოქმედებს, მაგრამ ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის რეზოლუცია ითვალისწინებდა, რომ დროთა განმავლობაში და გამოცდილების საფუძველზე კვლავაც საჭირო იქნებოდა კლასიფიკაციის კრიტერიუმების შემუშავება. 1975 წელს თავდაპირველად შემოთავაზებული სახელმძღვანელო პრინციპები შეესაბამება GHS-ის მწვავე ტოქსიკურობის საშიშროების კატეგორიებს.

ნაწილი II: კლასიფიკაციის გაიდლაინები. ინდივიდუალური აქტიური ინგრედიენტები რიგ ცხრილებში კლასიფიცირდა ტექნიკური მასალის პერორალური და დერმალური ტოქსიკურობის მაჩვენებლების მიხედვით. ცხრილები დროდადრო ექვემდებარება გადახედვას. როგორც წესი,

¹ [ib.http://www.unece.org/trans/danger/publi/ghs/ghs_welcome_e.html](http://www.unece.org/trans/danger/publi/ghs/ghs_welcome_e.html).

² [ib.http://www.fao.org/3/I3604E/i3604e.pdf](http://www.fao.org/3/I3604E/i3604e.pdf).

³ [ib.http://apps.who.int/iris/bitstream/10665/205561/1/9789241510417_eng.pdf?ua=1](http://apps.who.int/iris/bitstream/10665/205561/1/9789241510417_eng.pdf?ua=1).

ზოგიერთი პესტიციდის კლასიფიკაცია შესწორდა არა მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მწვავე რისკების, არამედ ჯანმრთელობისთვის სერიოზული საშიშროების გათვალისწინებით.

თითოეული პესტიციდისთვის წარმოდგენილია GHS მწვავე ტოქსიკურობის საშიშროების კატეგორიები. GHS ასევე შეიცავს კანცეროგენური, მუტაგენური და რეპროდუქციული ეფექტების, ან გრძელვადიანი ან განმეორებითი ექსპოზიციის ეფექტების მიხედვით კლასიფიკაციის დებულებებს. მრავალმა წევრმა ქვეყანამ შექმნა და გამოაქვეყნა GHS კლასიფიკაციები მათ იურისდიქციაში არსებული პესტიციდების და სხვა ქიმიკატებისთვის. ამ კლასიფიკაციების იდენტიფიცირება შესაძლებელია ონლაინ რესურსებიდან, როგორიცაა OECD eChemPortal (echemportal).

ტოქსიკურობის მნიშვნელობები მხოლოდ საორიენტაციოდაა განკუთვნილი. ფორმულაციები ცალკე უნდა იქნას კლასიფიცირებული გვ. 4 (ერთკომპონენტური ტექნიკური პროდუქტი) და გვ. 8 (ნარეკები) მოყვანილი მეთოდების მიხედვით და ნაწ. 1-ში მოყვანილი ცხრილის გამოყენებით. ფორმულაციების კლასიფიკაციის ხელშესაწყობად მოცემულია დანართი, სადაც წარმოდგენილია ცხრილები რიცხვითი მონაცემებით, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია კლასიფიცირება.

ყურადსაღებია დოკუმენტის მე-2 ნაწილის კომენტარები, ასევე ახალი ინფორმაციის დამატების შემოთავაზება. ისინი უნდა გაეგზავნოს ქიმიური უსაფრთხოების საერთაშორისო პროგრამას, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას, აპიას გამზ. 20, 1211 ჟენევა 27, შვეიცარია, და უნდა მოიცავდეს დამამტკიცებელ მონაცემებს იმ ნივთიერებებთან დაკავშირებით, რომლებზეც გაკეთდა კომენტარი ან შეთავაზება.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს ადრე გამოცემული ISBN 978 92 4 154796 3 დოკუმენტის შესწორებულ ვერსიას.

ნაწილი I:

პესტიციდების საშიშროების მიხედვით რეკომენდებული კლასიფიკაცია

ამონარიდი ჯანმო-ს ქრონიკებიდან (WHO Chronicle), 29: 397-401 (1975 წ.)

1973 წ. ჯანმო-ს აღმასრულებელმა საბჭომ თხოვნით მიმართა ჯანმო-ს გენერალურ დირექტორს, რათა მიეღო ზომები პესტიციდების საორიენტაციო კლასიფიკაციის შესამუშავებლად, სადაც განცალკევებული იქნებოდა ყოველი პესტიციდის მეტ-ნაკლებად საშიში ფორმები. შესაბამისად, ჯანმო-ს რეკომენდაციის თანახმად მომზადდა საშიშროების მიხედვით პესტიციდების კლასიფიკაციის წინადადება, სადაც გათვალისწინებული იყო ჯანმო-ს ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს წევრების პესტიციდებთან დაკავშირებული მოსაზრებები და პესტიციდების ტექნოლოგიაში სპეციალური კომპეტენციისა და ინტერესის მქონე ექსპერტთა სხვა საკონსულტაციო საბჭოს წევრების მოსაზრებები. ასევე, ჯანმო-ს წევრი სახელმწიფოების და ორი საერთაშორისო სააგენტოს კომენტარები. წინადადება მიღებულ იქნა ჯანდაცვის 28-ე მსოფლიო ასამბლეის მიერ, რომელმაც გასცა წევრი სახელმწიფოების, საერთაშორისო სააგენტოების და რეგიონალური ორგანოების მიერ კლასიფიკაციის გამოყენების რეკომენდაცია.

ქვემოთ მოყვანილია ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის მიერ 1975 წ მიღებული წინადადებიდან⁴ ამოღებული ტექსტი :

ამ რეკომენდაციაში მითითებული საშიშროება არის მწვავე რისკი ჯანმრთელობისთვის (ე.ი. დროის შედარებით მოკლე პერიოდში ერთჯერადი ან მრავალჯერადი ექსპოზიციის რისკი), რომლის წინაშეც შესაძლოა შემთხვევით აღმოჩნდეს ნებისმიერი ადამიანი, ვისაც შეხება აქვს პროდუქტთან, მწარმოებლის მიერ განსაზღვრული მოპყრობის მითითებების ან კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოების მიერ დადგენილი შენახვისა და ტრანსპორტირების წესების შესაბამისად.

ბიოლოგიურ მონაცემებზე დაფუძნებული კლასიფიკაცია ვერასდროს ვერ იქნება მიჩნეული საბოლოოდ. ბიოლოგიური მონაცემების შეფასებისას გარდაუვალია მოსაზრებების არსებული განსხვავება და მოსაზღვრე შემთხვევები შეიძლება გადაკვალიფიცირდეს მომიჯნავე კლასში. განსხვავებული შეფასებები შეიძლება ასევე განპირობებული იყოს ტოქსიკურობის მონაცემთა ცვალებადობით და არათანმიმდევრულობით ექსპერიმენტული ცხოველების განსხვავებული მგრძნობელობის გამო, ან გამოყენებული ექსპერიმენტული მეთოდებისა და მასალების გამო, რამაც ასევე შეიძლება განაპირობოს განსხვავებული შეფასებები. კლასიფიკაციის კრიტერიუმები წარმოადგენს სახელმძღვანელო ნიშნულებს, რომელთა მიზანია ნივთიერებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ცოდნის, სწორი კლინიკური მსჯელობის ან გამოცდილების შევსება და არავითარ შემთხვევაში ჩანაცვლება. დროდადრო შესაძლოა საჭირო გახდეს ხელახალი შეფასება.

კლასიფიკაციის საფუძველი

ეყრდნობა რა ტექნიკური ნივთიერების და მისი ფორმულაციების ტოქსიკურობას, კლასიფიკაცია განასხვავებს ყოველი პესტიციდის მეტ-ნაკლებად საშიშ ფორმებს [სახელდობრ, მყარი ნივთიერებები, თხევადთან შედარებით მიიჩნევა ნაკლებად საშიშად]⁵.

უპირველეს ყოვლისა, კლასიფიკაცია, ეფუძნება ვირთაგვებზე ჩატარებული ცდების შედეგად მიღებულ მწვავე პერორალური და დერმალური ტოქსიკურობის მაჩვენებლებს, რადგანაც ასეთი

⁴ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტი 1975 წ., # 223, ნაწ. 1, გვ.12

⁵შენიშვნა: ეს გამოიყვნა არ არის გაკეთებული GHS-ში და აღარ მიესადაგება ჯანმო-ს კლასიფიკაციას

განსაზღვრა წარმოადგენს სტანდარტულ პროცედურას ტოქსიკოლოგიაში. თუ ნაერთის დერმალური LD₅₀⁶ მნიშვნელობა ისეთია, რომ იგი განთავსდება საშიშროების უფრო მაღალ კლასში, ვიდრე პერორალური LD₅₀ მნიშვნელობა, ნაერთი ყოველთვის უნდა კლასიფიცირდეს უფრო მაღალ კლასში. თუ რაიმე მიზეზით, რომელიმე კონკრეტული ნივთიერების მწვავე საშიშროება ადამიანისთვის განსხვავდება იმისგან, რომელიც მიღებულია მხოლოდ LD₅₀ შეფასებით, მაშინ გათვალისწინებულია ამ კონკრეტული ნაერთის კლასიფიკაციის შესწორება.

კლასიფიკაციის კრიტერიუმების გამოყენება

(ა) თუ ნაჩვენებია, რომ კონკრეტული ნივთიერებისთვის ვირთაგვა არ არის ყველაზე შესაფერისი ცხოველი (მაგ. თუ შეიმჩნევა, რომ სხვა სახეობის ცხოველი უფრო მგრძნობიარეა, ან მისი რეაქცია უფრო მეტად ჰგავს ადამიანისას), მაშინ ეს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ნივთიერების კლასიფიკაციას.

(ბ) პრაქტიკულად, კლასიფიკაცია უმეტესწილად ხორციელდება მწვავე პერორალური LD₅₀ მნიშვნელობის მიხედვით. თუმცა ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დერმალური ტოქსიკურობა, ვინაიდან დადგენილია, რომ პესტიციდებთან მოპყრობის უმეტეს შემთხვევაში, ძირითადი ექსპოზიცია დერმალურია. თუ დერმალური LD₅₀ მნიშვნელობები მიუთითებს უფრო დიდ საშიშროებაზე, ვიდრე პერორალური LD₅₀, აუცილებელია კლასიფიცირება მოხდეს დერმალური მნიშვნელობების საფუძველზე ისეთ კლასში, რომელიც მიუთითებს უფრო მაღალ რისკზე.

(გ) თუ აქტიური ინგრედიენტი შეუქცევად ზიანს აყენებს ცოცხალ ორგანიზმებს, არის ძლიერ აქროლადი, შესამჩნევად აკუმულირებადი თავისი ზემოქმედებით, ან თუ პირდაპირი დაკვირვებებით აღმოჩნდება, რომ იგი განსაკუთრებით საშიში ან მნიშვნელოვნად ალერგიულია ადამიანისათვის, შეიძლება კლასიფიკაციაში შესწორებების შეტანა, ნაერთის ისეთ კლასში კლასიფიცირების გზით, რომელიც უფრო მაღალ საშიშროებაზე მიუთითებს. ალტერნატიულად, თუ აღმოჩნდა, რომ ნაერთი ნაკლებად ტოქსიკურია ან ნაკლები საშიშროების შემცველია, ვიდრე მოსალოდნელი იყო ინგრედიენტის ან ინგრედიენტების LD₅₀ მნიშვნელობებიდან გამომდინარე, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, შესწორება უნდა მოხდეს ნაერთის ისეთ კლასში კლასიფიცირების გზით, რომელიც ნაკლებ საშიშროებაზე მიუთითებს.

(დ) გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევაში ნაერთის ან ფორმულაციის კლასიფიკაცია არ უნდა ეფუძნებოდეს მწვავე პერორალურ ან დერმალური LD₅₀ მნიშვნელობებს. ასეთ შემთხვევებში (მაგალითად, აეროზოლური საშუალებები, სხვა სპეციფიკური ფორმულაციები და ფუმიგანტები) საჭიროა უფრო შესაფერისი კრიტერიუმების გამოყენება.

(ე) მიზანშეწონილია, რომ მწარმოებლისგან იყოს მოწოდებული ყოველი ფორმულაციის კლასიფიცირებისას ტოქსიკოლოგიური მონაცემები. თუ შეუძლებელია ასეთი მონაცემების მიღება, მაშინ კლასიფიკაცია შეიძლება დაეფუძნოს აქტიური ინგრედიენტის ან ინგრედიენტების LD₅₀ სიდიდეების პროპორციულ გამოთვლებს შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

⁶LD₅₀ მნიშვნელობა არის სხეულის წონის ერთ კგ-ზე ტოქსიკური ნივთიერების მგ-ის სტატისტიკური მიახლოებითი მნიშვნელობა, რომელიც საჭიროა ექსპერიმენტული ცხოველების დიდი პოპულაციის 50%-ის სასიცოცხლოდ.

აქტიური ინგრედიენტის $LD_{50} \times 100$

ფორმულაში აქტიური ინგრედიენტის პროცენტული წილი

თუ ფორმულაცია შეიცავს ტოქსიკურობის გამამლიერებელ ერთზე მეტ ინგრედიენტს (მათ შორის, გამხსნელებს, დამატენიანებელ საშუალებებს და ა.შ.), კლასიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ინგრედიენტების ნარევის ტოქსიკურობას.

(ვ)პესტიციდებს, მცირე გამონაკლისით ახასიათებთ დაბალი აქროლადობა. ამიტომ ამ რეკომენდაციაში ამჟამად არ არის მოყვანილი აქროლადობის კრიტერიუმები. სავარაუდოდ, ასეთი კრიტერიუმების ჩართვამ პესტიციდების კლასიფიკაციაზე არ უნდა იქონიოს გავლენა, გარდა სოფლის მეურნეობაში და საკვების შენახვისას გამოყენებულ აქროლად ფუმიგანტებისა. მეორე მხრივ, როდესაც კრიტერიუმები გამოიყენება გამხსნელებზე ან სხვა ქიმიკატებზე დაფუძნებულ პესტიციდების ფორმულაციებისათვის, გათვალისწინებულ უნდა იქნეს აქროლადობა და შესაბამისი ინჰალაციური ტოქსიკურობა. [ფუმიგანტებად გამოყენებული პესტიციდების ინჰალაციურ ტოქსიკურობასთან დაკავშირებული შემდგომი ინფორმაცია მოყვანილია მე-8 ცხრილში.]

კლასიფიკაციის გავლენა ეტიკეტირებაზე⁷

რადგან, რეკომენდაციაში არ არის მოყვანილი კლასების ინდენტიფიცირების სპეციფიკური სიმბოლოები, ქვემოთ მოყვანილია ეტიკეტირებისთვის კლასიფიკაციის ზოგადი მიდგომები. მთავარია, ეტიკეტზე იყოს რისკის ხასიათის შესახებ ერთგვაროვანი განაცხადი (ფრაზით ან სიმბოლოთი) მიუხედავად პროდუქტის წარმოშობის ან გამოყენების ქვეყნისა. იმ პროდუქტების ეტიკეტებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია Ia და Ib კლასებში, უნდა იყოს დატანილი სიმბოლო, რომელიც მიუთითებს მაღალ საშიშროებაზე (ჩვეულებრივ, თავის ქალა ან გადაჯვარედინებული ძვლები) და სასიგნალო სიტყვა ან ფრაზა, მაგ. „საწამლავი“ ან „ტოქსიკური“. სიმბოლო და სიტყვა ან ფრაზა, ფერი, ზომა და ფორმა ისეთნაირად უნდა იყოს დატანილი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეტიკეტზე მათი თვალსაჩინოება.

ტექსტი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე და ყველა ფორმულაციისთვის უნდა შეიცავდეს აქტიური ინგრედიენტის ან ინგრედიენტების მიღებულ სახელწოდებას, გამოყენების მეთოდს და გამაფრთხილებელ ზომებს. Ia და Ib კლასებისთვის უნდა მოიცავდეს მოწამვლის სიმპტომებსა და პირველადი გადაუდებელი დახმარების მეთოდებს.

დეტალური გამაფრთხილებელი ზომები დამოკიდებულია ფორმულაციის ხასიათზე და გამოყენების წესზე, და მათ სავაჭრო ნიშნის მიღებისას სათანადოდ განსაზღვრავს პესტიციდის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი ორგანო.

სიმბოლოების შესახებ არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც აღნიშნავენ აალებადი, კოროზიული, ფეთქებადი და სხვა მასალების საშიშროებას.

⁷იხ. WHO/FAO ქვეყნის საერთაშორისო კოდექსი პესტიციდების მართვასთან დაკავშირებით, WHO/FAO (2014 წ.), ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.fao.org/3/I3604E/i3604e.pdf>; ასევე, ეტიკეტირების კარგი პრაქტიკის გაიდლაინები პესტიციდებისთვის, WHO/FAO (2015 წ.), ხელმისაწვდომია ბმულზე http://apps.who.int/iris/bitstream/10665/195650/1/9789241509688_eng.pdf?ua=1.

კლასიფიკაციის შესწორებული კრიტერიუმები (გამოყენება 2009 წლის განახლებული ვერსიიდან)

ცხრილი, რომელშიც ასახულია ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის მიერ რეკომენდებული თავდაპირველი კლასიფიკაციის კრიტერიუმები, ნაჩვენებია არ არის, რადგან ის აღარ გამოიყენება.

ამჟამად ჯანმო საფუძლვად იყენებს GHS⁸-ის მწვავე ტოქსიკურობის საშიშროების კატეგორიებს. ეს ცვლილება შეესაბამება ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის 1975 წ. რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა, ჯანმო-ს კლასიფიკაციის დროთა განმავლობაში შემდგომ განვითარებას ქვეყნებთან, საერთაშორისო სააგენტოებთან და რეგიონალურ ორგანოებთან კონსულტაციით. GHS, როგორც ინტენსიური საერთაშორისო კონსულტაციების შედეგად მსოფლიო დონეზე მიღებული კლასიფიკაციის სისტემა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.

საშიშროების კლასი	საშიშროების მდგომარეობა	LD ₅₀ ვირთაგვებისთვის (მგ/კგ სხ. წონაზე)	
		პერორალური	დერმალური
Ia	განსაკუთრებით საშიში	<5	<50
Ib	ძლიერ საშიში	5-50	50-200
II	საშუალოდ საშიში	50-2000	200-2000
III	ნაკლებად საშიში	>2000	>2000
U	ნაკლებად მოსალოდნელია მწვავე მოწამვლის საშიშროება	➤ 5000	

მე-2 ნაწილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქნა მოყვანილი ჯანმო-ს კლასიფიკაცია GHS მწვავე ტოქსიკურობის საშიშროების კატეგორიებთან შესაბამისობაში.

⁸იხ.http://www.unece.org/trans/danger/publi/ghs/ghs_welcome_e.html. გამოყენებულია კატეგორიები პერორალური და დერმალური გზებისთვის.

ნაწილი II:

პესტიციდების საშიშროების მიხედვით კლასიფიკაციის გაიდლაინები

გაიდლაინების ძირითადი ნაწილები შედგება ხუთი ცხრილისგან, რომლებსაც წინ უძღვის შენიშვნები გამოყენების შესახებ. ცხრილებში აქტიური ინგრედიენტები (ტექნიკური კატეგორია) კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

ცხრილი 1. განსაკუთრებით საშიში (კლასი Ia) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში.....	21
ცხრილი 2. ძლიერ საშიში (კლასი Ib) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში.....	23
ცხრილი 3. საშუალოდ საშიში (კლასი II) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში	27
ცხრილი 4. ნაკლებად საშიში (კლასი III) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში.....	41
ცხრილი 5. ნაკლებად მოსალოდნელია მწვავე მოწამვლის საშიშროება ნორმალური გამოყენებისას (კლასი U) აქტიური ინგრედიენტების ტექნიკური კატეგორია პესტიციდებში,	49
ცხრილები დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით.	
გარდა ამისა, ცხრილებში ნაჩვენებია შემდეგი დეტალები:	
ცხრილი 6. აქტიური ინგრედიენტები, რომლებიც მოძველებულად მიიჩნევა ან აღარ გამოიყენება, როგორც პესტიციდები	59
ცხრილი 7. პესტიციდები, რომლებიც ექვემდებარება როტერდამის კონვენციას.....	65
ცხრილი 8. აირადი ან აქროლადი ფუმიგანტები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული პესტიციდების საშიშროების კლასიფიკაციის მიხედვით.....	67
დანართი - როგორ ვიპოვოთ ფორმულაციის საშიშროების კლასი	69
ინდექსი CAS ნომრის მიხედვით	72
აქტიური ინგრედიენტის სახელწოდების მიხედვით	81

შენიშვნები კლასიფიკაციაში ცხრილების გამოყენებასთან დაკავშირებით

ნებისმიერი პროდუქტის საბოლოო კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ფორმულაციის მიხედვით

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოადგენილია აქტიური ინგრედიენტების კლასიფიკაცია და ასახავს მხოლოდ ფაქტობრივი ფორმულაციის საბოლოო კლასიფიკაციის ამოსავალ წერტილს. უმჯობესია, ფორმულაციის საბოლოო კლასიფიკაცია ეფუძნებოდეს ფორმულაციის მწარმოებლისგან მიღებულ ტოქსიკურობის მონაცემებს: ნაწილი 1-ში მოყვანილ ცხრილში ასახული კრიტერიუმები შემდგომ გამოიყენება პირველი ხელიდან მიღებული მონაცემებისთვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის ხელმისაწვდომი, გამოყენებულ უნდა იქნას ნაწ. 1 მოყვანილი ფორმულაციის LD₅₀-ის ტექნიკური პროდუქტის LD₅₀-დან გამოსათვლელი ფორმულა. ამ შემთხვევაში ფორმულაში გამოყენებულ უნდა იქნეს ქვემოთ, ცხრილებში მოცემული LD₅₀-ის პერორალური ან დერმალური მნიშვნელობა.

მხედველობაში მისაღება შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები.

1. თუმცა კლასიფიკაცია ეხება მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მწვავე რისკის შეფასებას, ბევრი ნივთიერების რეგისტრაციისთვის ჩატარდა სხვა ზემოქმედებების შეფასებები, კიბოს ჩათვლით. თუ ადამიანებში აღინიშნებოდა სხვა ეფექტები, ისინი მოყვანილია „შენიშვნების“ სვეტში, და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს კლასიფიკაციის შესწორება.
2. ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, მონაცემები ასახავს საერთაშორისო დონეზე მიღებულ სახელწოდებას, ან, თუ ასეთი სახელწოდება არ არის ხელმისაწვდომი, ეროვნულ დონეზე მიღებულ სახელწოდებას. ზოგიერთი სხვა საყოველთაოდ მიღებული სახელწოდებები მოცემულია ანბანურ კატალოგში („ანბანური საძიებელი. პესტიციდების აქტიური ინგრედიენტების კლასიფიკაცია“). სავაჭრო სახელწოდებები არ არის მოყვანილი, რადგან ისინი მრავლადაა.
3. შენიშვნების ბოლოს წარმოდგენილია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პესტიციდების იდენტიფიცირებისთვის და მწარმოებელი ყოველთვის უნდა დაეხმაროს თავისი პროდუქტის არსებული, მიღებული ან საყოველთაოდ აღიარებული სახელწოდების მითითებით.
4. სახელმძღვანელო მითითებებში შეუძლებელია პესტიციდების ნარევების კლასიფიკაცია: ბევრი მათგანი ბაზარზე გადის აქტიური ინგრედიენტების განსხვავებული კონცენტრაციით. არსებობს ნარევების კლასიფიკაციის სამი შესაძლო მიდგომა - უპირატესობის მიხედვით:
 - ა) მოთხოვნა, რომ ფორმულაციის მწარმოებელმა მიიღოს ბაზარზე გატანილი ფაქტობრივი ნარევისთვის სარწმუნო მონაცემები ვირთაგვებისთვის მწვავე პერორალური და დერმალური ტოქსიკურობის შესახებ: ან
 - ბ) ფორმულაციის კლასიფიკაცია მოხდეს ნარევის ყველაზე საშიში კომპონენტის მიხედვით, თითქოსდა ის კომპონენტი იგივე კონცენტრაციითაა, რა საერთო კონცენტრაციითაც არის წარმოდგენილი ყველა აქტიური კომპონენტი: ან
 - გ) გამოყენებულ იქნეს ფორმულა:

$$\frac{C_a}{T_a} + \frac{C_b}{T_b} + \frac{C_z}{T_z} \equiv \frac{100}{T_m}$$

სადაც

C = A, B ... Z კომპონენტების კონცენტრაციის % ნარევში;

T = A, B ... Z კომპონენტების პერორალური LD₅₀ მნიშვნელობები;

T_m = ნარევის პერორალური LD₅₀ მნიშვნელობა.

ამ ფორმულის გამოყენება შეიძლება დერმალური ტოქსიკურობის დროსაც, იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება იგივე სახეობებზე ყველა კომპონენტისთვის. ამ ფორმულის გამოყენება არ ითვალისწინებს პოტენცირებას ან დამცავ ფენომენს.

5. ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში კლასიფიკაციის მიზნით მოცემულია LD₅₀-ის აღმნიშვნელი ცალკეული მნიშვნელობები. თუ LD₅₀-ის რამდენიმე მნიშვნელობაა გამოქვეყნებული,

გამოიყენება სარწმუნოდ მიჩნეული ყველაზე დაბალი მნიშვნელობა. სადაც LD₅₀ მნიშვნელობებში მოცემულია განსხვავება სქესის მიხედვით, გამოიყენება მნიშვნელობა უფრო სენსიტიური სქესისთვის. ზოგიერთ პეტიციდებთან მიმართებაში კლასიფიკაციაში შეტანილია რიგი შესწორებები და ისინი განმარტებულია. მოსაზღვრე შემთხვევა კლასიფიცირდება მეტად ან ნაკლებად სახიფათო კლასში მისი ტოქსიკოლოგიური მონაცემების და გამოყენების გამოცდილების გათვალისწინებით.

6. ჯანმო-ს წინა კლასიფიკაციის სქემაში პესტიციდები კლასიფიცირებული იყო ტექნიკური პროდუქტის ფიზიკური მდგომარეობის საფუძველზე. ამჟამად აღარ განასხვავებენ თხევად და მყარ ნივთიერებებს.
7. მე-5 ცხრილში ჩამოთვლილია პესტიციდები, რომლებიც ნორმალური გამოყენებისას სავარაუდოდ, არ იწვევენ მწვავე მოწამვლის საშიშროებას. ჯანმოს კლასიფიკაცია არ არის ლიმიტირებული, თუმცა ნათელია, რომ უნდა იყოს წერტილი, სადაც ამ ნივთიერების გამოყენებასთან დაკავშირებული მწვავე მოწამვლის საშიშროება იმდენად უმნიშვნელოა, რომ შესაძლებელია მისი უგულვებელყოფა თუ დაცული იქნება სიფრთხილის ყველა ზომა, რაც ნებისმიერი ქიმიკატის გამოყენებისას უნდა იქნას გათვალისწინებული. ამ ცხრილის შედგენისას დაშვებული იყო, რომ ეს წერტილი არის LD₅₀ ტოლი 5000 მგ/კგ სხეულის წონაზე ან მეტის (GHS-ში კლასიფიკაციის ზედა ზღვრის შესაბამისად). თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ ტექნიკური პროდუქტების შემადგენლობაში მყოფი გამხსნელები ან განმზავებლები შეიძლება უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტობრივი პესტიციდები და ამიტომ შესაძლოა საჭირო გახდეს ფორმულაციის კლასიფიცირება ერთერთ, შედარებით მაღალი საშიშროების კლასში.
8. ჯანმო-ს კლასიფიკაცია არ შემოიფარგლება ქიმიური პესტიციდებით. შესაძლებელია ბიოლოგიური პესტიციდების შეტანაც, თუ ხელმისაწვდომია სათანადო შეფასება (*Bacillus thuringiensis* შეტანილია გარემოს დაცვის კრიტერიუმების დოკუმენტი 217-ის საფუძველზე).
9. ტოქსიკურობის მონაცემები პირეტროიდებისთვის ძალიან ცვალებადია, რაც დამოკიდებულია იზომერის კოეფიციენტებზე, პერორალური ზემოქმედების დროს გამოყენებულ განმზავებელზე და ექსპერიმენტული ცხოველების საცხოვრებელ პირობებზე, მაგ. შიმშილი დოზის მიღებამდე. ცვალებადობას ასახავს LD₅₀ მნიშვნელობების წინ პრეფიქსი „c“. კლასიფიკაციის მიზნით შერჩეული ერთჯერადი LD₅₀ მნიშვნელობა ზოგადად ეფუძნება ზემოქმედებას სიმიდის ზეთში და შეიძლება ბევრად დაბალი იყოს, ვიდრე ზემოქმედება წყალხსნარში. ეს ხაზს უსვამს ფორმულაციის მიხედვით კლასიფიკაციის აუცილებლობას, თუკი კლასიფიკაციამ უნდა ასახოს ჭეშმარიტი საშიშროება.

ცხრილებში გამოყენებული წარწერები და აბრევიატურები

ახალი ინფორმაცია წინა რედაქციასთან შედარებით აღნიშნულია *დახრილი შრიფტით*.

სვეტი 1: საყოველთაო სახელწოდება. [ISO] აღნიშნავს აქტიური ინგრედიენტის საყოველთაო სახელწოდებას, დამტკიცებულს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ასეთ სახელწოდებებს, არსებობის შემთხვევაში, ჯანმო ანიჭებს უპირატესობას ყველა სხვა საყოველთაო სახელწოდებებთან შედარებით. თუმცა, ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ შესაძლოა ეს სახელწოდებები არ იყოს მისაღები ეროვნული გამოყენებისთვის ზოგიერთ ქვეყანაში. თუ ასოები ISO მოცემულია ფრჩხილებში (ISO), ეს მიუთითებს იმაზე, რომ ISO-მ მოახდინა ფუძის, და არა 1-ლ სვეტში მითითებული წარმოებულის სახელწოდების სტანდარტიზაცია (ან სტანდარტიზაციის პროცესშია). მაგალითად, ფენტინის-აცეტატი (ISO) მიუთითებს, რომ ფენტინი არის ISO-ს სახელწოდება, ხოლო ფენტინის აცეტატი - არა. ISO* აღნიშნავს ISO-ს სახელწოდების მოსალოდნელ დამტკიცებას. „C“ აღნიშნავს ქიმიურ, ტრივიალურ, ან სხვა საყოველთაო სახელწოდებას.

სვეტი 2: CAS რეესტრის ნომერი: ნომერი მიეკუთვნება ქიმიკატს და არა სხვადასხვა მოცემულ ეთერებს ან მარილებს.

სვეტი 3: UN ნომერი მიუთითებს UN რეკომენდაციებზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებით, მეთერთმეტე გადახედვა (1999 წ.) და შემდგომი გადახედვები. მე-5 ცხრილში აქტიურ ინგრედიენტს აქვს UN ნომერი. UN ნომერი ეხება მხოლოდ აქტიურ ინგრედიენტს; ფორმულაციებს, სავარაუდოდ, განსხვავებული ნომრები აქვთ, რადგან ინგრედიენტი შეიძლება, მაგალითად, გახსნილი იყოს გამხსნელში - და თხევად პროდუქტებს აქვთ UN განსხვავებული ნომრები, რომლებიც დამოკიდებულია მათ აალებადობაზე.

სვეტი 4: ქიმიკატის ტიპი. ნაჩვენებია ქიმიკატების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა. ზოგიერთს გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა, იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ საერთო ანტიდოტი, ან ნომენკლატურაში შეიძლება მოხდეს არევა სხვა ტიპის ქიმიკატებთან, მაგ. თიოკარბამატები არ არიან ქოლინესთერაზას ინჰიბიტორები და არ გააჩნიათ იგივე ზემოქმედება, რაც კარბამატებს. ქიმიკატის ტიპი ასევე განსაზღვრავს UN ნუმერაციის სისტემას. ეს ქიმიური კლასიფიკაციები შეტანილია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და ჯანმო-ს მხრიდან რეკომენდაციას არ წარმოადგენს, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს პესტიციდების კლასიფიკაცია. მეტიც, უნდა გვესმოდეს, რომ ზოგიერთი პესტიციდი შესაძლოა განეკუთვნებოდეს ერთზე მეტ ტიპს.

As	დარიშხანის ნაერთი	ფო	ფოფოსფორორგანული ნაერთი
ბპ	ბიპირიდილის წარმოებული	ოტ	ორგანოტინის ნაერთი
კარბ	კარბამატი	ფამ	ფენოქსი ძმარმჟავას წარმოებული
კუმ	კუმარინის წარმოებული	პზ	პირაზოლი
Cu	სპილენძის ნაერთი	პი	პირეტროიდი
Hg	ვერცხლისწყლის ნაერთი	ტ	ტრიაზინის წარმოებული
ნფ	ნიტროფენოლის წარმოებული	თკ	თიოკარბამატი
ქო	ქლორორგანული ნაერთი		

სვეტი 5: ფიზიკური მდგომარეობა. მიუთითებს მხოლოდ აქტიურ ინგრედიენტზე. „თ“ აღნიშნავს თხევადს, მათ შორის მყარ ნივთიერებას, რომლის დნობის ტემპერატურა 50°C -ზე ნაკლებია; „ზეთი“ აღნიშნავს ზეთოვან პროდუქტებს, ხოლო „მ“ მყარ ნივთიერებებს, მათ შორის ცვილებს. ფიზიკურმა მდგომარეობამ შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს ექსპოზიციის პოტენციალზე და, ამგვარად, ქიმიკატის აბსორბირებულ რაოდენობაზე. ეს გათვალისწინებული იყო წინა სქემით მიღებული კლასიფიკაციის განსაზღვრისას.

სვეტი 6: ძირითადი გამოყენება. უმეტეს შემთხვევებში მოცემულია მხოლოდ ერთი სახის გამოყენება. ეს არის მხოლოდ იდენტიფიცირების მიზნებისთვის და არ გამორიცხავს სხვა სახის გამოყენებას.

აკ =	აკარიციდი	მ =	მოლუსკოციდი
აფ =	აფიციდი	ნ =	ნემატოციდი
მტ =	მიტიციდი	სხვ.	=მცენარეთა სხვა პათოგენებისთვის
ბ =	ბაქტერიოსტატი (ნიადაგი)	მზრ=	მცენარეთა ზრდის რეგულატორი
ფმ=	ფუმიგანტი	რ =	როდენტიციდი
ფ =	ფუნგიციდი, გარდა თესლის დამუშავების	რპ =	რეპელენტი

ფთდ = ფუნგიციდი, თესლის
დასამუშავებლად

-ნ= გამოიყენება ნიადაგისთვის: არ
გამოიყენება ჰერბიციდებთან ან მცენარეთა
ზრდის რეგულატორებთან

ჰ = ჰერბიციდი

სინ= სინერგისტი

ი = ინსექტიციდი

IGR= მწერების ზრდის რეგულატორი

Ix =იქსოდიციდი (ტკიპების კონტროლისთვის)

L = ლარვიციდი

სვეტი 7: GHS: ეს სვეტი მიუთითებს პესტიციდის კლასიფიკაციაზე „ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების მსოფლიო ჰარმონიზებული სისტემის“ (GHS)⁹ მიხედვით. სვეტში მითითებული მნიშვნელობა არის მწვავე ტოქსიკური საშიშროების კატეგორია GHS კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, მიღებულია ნივთიერების მწვავე ტოქსიკურობის მიახლოებითი მნიშვნელობიდან. უმეტეს შემთხვევებში მწვავე ტოქსიკურობის მიახლოებითი მნიშვნელობა წარმოადგენს ექსპერიმენტულად მიღებულ LD₅₀ მნიშვნელობას პერორალური ექსპოზიციისთვის. GHS -ის მიხედვით კლასიფიკაციის ყველა დეტალი იხ. GHS -ის ოფიციალურ პუბლიკაციაში.

ჯანმო-ს კლასიფიკაციის წინა სქემა, რომელიც გამოიყენებოდა 2009 წლამდე, თხევადი და მყარი ნივთიერებებისთვის სხვადასხვა კრიტერიუმებს იყენებდა. GHS კი არ იყენებს ანალოგიურ განსხვავებას და იყენებს ერთსა და იმავე კრიტერიუმებს. GHS -ის ზღვრული მნიშვნელობები მე-2 და მე-3 კატეგორიებისთვის უფრო დაბალია, ვიდრე ჯანმო-ს 2009 წლამდელ სქემაში თხევადი ნივთიერებების მიმართ გამოყენებული მნიშვნელობები, ასე რომ Ib კლასში მოთავსებული თხევადი ნივთიერებები გადატანილი უნდა იყოს GHS -ის უფრო დაბალ, მე-3 კატეგორიაში (სახელობრივ, პესტიციდები, რომელთა პერორალური LD₅₀ მნიშვნელობები სხეულის წონაზე 50-200 მგ/კგ ფარგლებშია). ჯანმო-ს სქემის GHS კრიტერიუმებთან მისადაგება მიზნად არ ისახავდა ადრე „ძლიერ საშიშად“ მიჩნეული პესტიციდების კლასიფიკაციის „დადაბლებას“. ამგვარად, ამ თხევადი პესტიციდების შეზღუდული რაოდენობა ისე იქნა მისადაგებული, რომ ისინი დარჩა Ib კლასში. ჯანმო-ს კლასიფიკაციის სქემის კრიტერიუმები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება, მოცემულია I ნაწილში.

⁹იხ.http://www.unec.org/trans/danger/publi/ghs/ghs_welcome_e.html. გამოიყენება კატეგორიები პერორალური და დერმალური გზებისთვის

სვეტი 8: LD₅₀. LD₅₀ მნიშვნელობა არის სტატისტიკური შეფასება სხეულის წონის 1 კგ-ზე ტოქსიკური ნივთიერების მგ-ების რაოდენობისა, რომელიც საჭიროა ექსპერიმენტული ცხოველების დიდი პოპულაციის 50%-ის სასიკვდილოდ: გამოიყენება ვირთაგვებზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ჩვეულებრივ, ერთი ციფრია, თუმცა ზოგჯერ მოცემულია დიაპაზონი. თუ მნიშვნელობას წინ უძღვის “c”, ეს მიუთითებს, რომ ეს მნიშვნელობა ჩვეულებრივზე უფრო ფართო დიაპაზონის ფარგლებშია. თუ ლიტერატურაში ნაჩვენებია რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა, კლასიფიკაციის საფუძველად მითითებული და გამოყენებულია ყველაზე დაბალი, თუ არ არსებობს მკაფიო მითითება, რომ შედარებით მაღალი მნიშვნელობა უფრო სარწმუნოა.

პერორალური გზის მნიშვნელობები გამოიყენება მაშინ, თუ დერმალური გზის მნიშვნელობების მიხედვით ნაერთი არ მიეკუთვნება უფრო საშიშ კლასს, ან თუ დერმალური მნიშვნელობები საგრძნობლად დაბალია, ვიდრე პერორალური მნიშვნელობები, თუმცა მიეკუთვნება იმავე კლასს. დერმალური LD₅₀ მნიშვნელობები აღინიშნება „D“ ასოთი.

სვეტი 9: შენიშვნები. ეს სვეტი გამოიყენება ისეთი შემთხვევების მისათითებლად, როდესაც ტექნიკური პროდუქტის კლასიფიკაცია შესწორებული იქნა (ე.ი. პერორალური LD₅₀ მნიშვნელობა უშუალოდ არ გამოიყენება, როგორც კლასიფიკაციის საფუძველი); შეიძლება ასევე აღნიშნული იყოს ძირითადი გამაღიზიანებლის თვისებები, თუმცა ისინი არ ახდენენ ზემოქმედებას კლასიფიკაციაზე. აქ შესაძლოა მოყვანილი იყოს შემდგომი ინფორმაციის წყაროები: EHC აღნიშნავს გარემოს ჯანმრთელობის კრიტერიუმების მონოგრაფიას, HSG - ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გზამკვლევს, IARC აღნიშნავს IARC-ის მონოგრაფიებს ადამიანების კანცეროგენური რისკების შეფასების შესახებ, ICSC - ქიმიკატების უსაფრთხოების საერთაშორისო ბარათს, JMPR - შეფასება FAO /WHO-ს პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებული ერთობლივი შეხვედრის მიერ (მითითებულია შეფასების წელი), ხოლო JECFA - შეფასება FAO/WHO-ს საკვებ დანამატებთან დაკავშირებული ექსპერტთა კომისიის ერთობლივი შეხვედრის მიერ. ამ პუბლიკაციების ხილვა შესაძლებელია INCHEM ვებ-გვერდზე, რომელსაც აწარმოებს ჯანმო (www.inchem.org). ქიმიკატებთან დაკავშირებული ჯანმო-ს შემდგომი ინფორმაციის ხილვა შესაძლებელია IPCS ვებ-გვერდზე (<http://www.who.int/ipcs/>).

ძლიერ საშიში პესტიციდების განმარტება

პესტიციდების მართვასთან დაკავშირებით FAO/ჯანმო-ს ერთობლივ შეხვედრაზე მიღებულ იქნა რეკომენდაცია,¹⁰ რომ ძლიერ საშიში პესტიციდები უნდა განისაზღვროს, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით:

კრიტერიუმი 1: პესტიციდების ფორმულაციები, რომლებიც აკმაყოფილებს *ჯანმო-ს რეკომენდაციის შესაბამისად პესტიციდების საშიშროების მიხედვით კლასიფიკაციის* Ia ან Ib კლასების კრიტერიუმებს; ან

კრიტერიუმი 2: პესტიციდების აქტიური ინგრედიენტები და მათი ფორმულაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ *ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების მსოფლიო ჰარმონიზებული სისტემის* (GHS) კანცეროგენობის 1A და 1B კატეგორიების კრიტერიუმებს; ან

კრიტერიუმი 3: პესტიციდების აქტიური ინგრედიენტები და მათი ფორმულაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ *ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების მსოფლიო ჰარმონიზებული სისტემის* (GHS) მუტაგენობის 1A და 1B კატეგორიების კრიტერიუმებს; ან

კრიტერიუმი 4: პესტიციდების აქტიური ინგრედიენტები და მათი ფორმულაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ *ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების მსოფლიო ჰარმონიზებული სისტემის* (GHS) რეპროდუქციული ტოქსიკურობის 1A და 1B კატეგორიების კრიტერიუმებს; ან

კრიტერიუმი 5: პესტიციდების აქტიური ინგრედიენტები, ჩამოთვლილი *სტოკჰოლმის კონვენციის* A და B დანართებში და ისინი, რომლებიც აკმაყოფილებს ამ კონვენციის D დანართის 1-ლ პუნქტში მითითებულ კრიტერიუმს; ან

კრიტერიუმი 6: პესტიციდების აქტიური ინგრედიენტები და მათი ფორმულაციები, ჩამოთვლილი *როტერდამის კონვენციის* მე-3 დანართში; ან

კრიტერიუმი 7: პესტიციდები, ჩამოთვლილი *მონრეალის პროტოკოლში*; ან

კრიტერიუმი 8: პესტიციდების აქტიური ინგრედიენტები და მათი ფორმულაციები, რომლებმაც მაღალი სიხშირით გამოავლინა მძიმე ან შეუქცევადი ურყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე.

¹⁰[ბ. http://apps.who.int/iris/bitstream/10665/205561/1/9789241510417_eng.pdf?ua=1](http://apps.who.int/iris/bitstream/10665/205561/1/9789241510417_eng.pdf?ua=1)

ცხრილები

პესტიციდების საშიშროების კლასების მიხედვით

ტექნიკური კატეგორიის აქტიური

ინგრედიენტები

ცხრილი 1. განსაკუთრებით საშიში(Ia კლასი) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში

საერთო დასახელება	CAS №	UN №	ქიმ. ტიპი	ფიზ მდგ	ბირით გამოყ	GHS	LD ₅₀ მგ/კგ	შენიშვნა
ალდიკარბი [ISO]	116-06-3	2757	კარბ	მ	ი-ნ	1	0.93	იხ. შენიშვნა3;EHC121;HSG64;ICSC94;JMPR1992,1995
ბროდიფაკუმი [ISO]	56073-10-0	3027	კუმ წ	მ	რ	1	0.3	EHC 175; HSG 93
ბრომადილონი [ISO]	28772-56-7	3027	კუმ წ	მ	რ	1	1.12	EHC 175; HSG 94
ბრომეთალინი [ISO]	63333-35-7	2588		მ	რ	1	2	
კალციუმის ციანიდი[C]	592-01-8	1575		მ	ფმ	2	39	შესწორებული კლასიფიკაცია; იხ. შენიშვნა 1; ICSC 407
კაპტაფოლი [ISO]	2425-06-1			მ	ფ	5	5000	შესწორებული კლასიფიკაცია; იხ. შენიშვნა 2 და 3;HSG49; IARC 53 (ჯგუფი 2A); ICSC 119; JMPR 1977, 1985
ქლორეთოქსიფოსი [ISO]	54593-83-8	3018	ფო	თ	ი	1	1.8	განსაკუთრებით საშიშია კანთან კონტაქტისას (LD ₅₀ = 12.5 მგ/კგ); ICSC 1681
ქლორმეფოსი [ISO]	24934-91-6	3018	ფო	თ	ი	2	D27	ICSC 1682
ქლოროფაცინონი [ISO]	3691-35-8	2588		მ	რ	1	3.1	EHC 175; ICSC 1756
დიფენაკუმი [ISO]	56073-07-5	3027	კუმ წ	მ	რ	1	1.8	EHC 175; HSG 95
დიფეთიალონი [ISO]	104653-34-1	2588		მ	რ	1	0.56	EHC 175
დიფაცინონი [ISO]	82-66-6	2588		მ	რ	1	2.3	EHC 175; ICSC 1757
დისულფოტონი [ISO]	298-04-4	3018	ფო	თ	ი	1	2.6	ICSC 1408; JMPR 1992, 1996
EPN (O-ეთილ O-P-ნიტროფენილ ფენილფოსფონოთიონატი)	2104-64-5	2783	ფო	მ	ი	2	14	იხ. შენიშვნა 4; ICSC 753
ეთოპროფოსი [ISO]	13194-48-4	3018	ფო	თ	ი-ნ	2	D26	ICSC 1660; JMPR 1999; [ორალ LD ₅₀ = 33 მგ/კგ]
ფლოკუმაფენი	90035-08-8	3027	რ	მ	რ	1	0.25	EHC 175; ICSC 1267
ჰექსაქლორობენზოლი [ISO]	118-74-1	2729	ქო	მ	ფთდ	5	D10000	შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3 და 5); EHC 195; IARC 79 (ჯგუფი 2B); ICSC 895
ვერცხლისწყლის ქლორიდი [ISO]	7487-94-7	1624	Hg	მ	ფ-ნ	1	1	იხ.შენიშვნა 3; ICSC 979
მევინფოსი[ISO]	7786-34-7	3018	ფო	თ	ი	1	D4	ICSC 924; JMPR 1996; [ორალ LD ₅₀ = 3.7 მგ/კგ]
ოქსამილი [ISO]	23135-22-0	2757	კარბ	მ	ი	1	2.5	JMPR 2017

ცხრილი 1. განსაკუთრებით საშიში (Ia კლასი) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში (გაგრძ.)

საერთო დასახელება	CAS №	UN №	ქიმ. ტიპი	ფიზ მდგ	ძირით გამოყ	GHS	LD ₅₀ მგ/კგ	შენიშვნა
პარათიონი [ISO]	56-38-2	3018	ფო	თ	ი	2	13	იხ. შენიშვნა 3; HSG 74; IARC 112 (ჯგუფი 2B); ICSC 6; JMPR 1995; სასიკვდილო შემთხვევების ზრდა-იხ. შენიშვნა 6
პარათიონ-მეთილი [ISO]	298-00-0	3018	ფო	თ	ი	2	14	იხ. შენიშვნა 3; EHC 145; HSG 75; ICSC 626; JMPR 1984, 1995
ფენილ ვერცხლისწყლის აცეტატი [ISO]	62-38-4	1674	Hg	მ	თშფ	2	24	შესწორებული კლასიფიკაცია; იხ. შენიშვნა 3 დათი 7; ICSC 540
ფორატი [ISO]	298-02-2	3018	ფო	თ	ი	1	2	იხ. შენიშვნა 3; JMPR 1996, 2004; ICSC 1060
ფოსფამიდონი	13171-21-6	3018	ფო	თ	ი	2	7	იხ. შენიშვნა 3; ICSC 189; JMPR 1986
[C]ნატრიუმის ფთორაცეტატი	62-74-8	2629		მ	რ	1	0.2	ICSC 484
სულფოტეპი [ISO]	3689-24-5	1704	ფო	თ	ი	1	5	ICSC 985
ტებუპირიმფოსი [ISO]	96182-53-5	3018	ფო	თ	ი	1	1.3	განსაკუთრებით საშიშია კანთან კონტაქტისას (LD ₅₀ 9.4 მგ/კგ გამაღიზიანებელი); ICSC 1767
ტერბუფოსი [ISO]	13071-79-9	3018	ფო	თ	ი-ნ	1	c2	ICSC 1768; JMPR 1990, 2003

EHC = გარემოს ჯანმრთელობის კრიტერიუმების მონოგრაფია; HSG = ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გზამკვლევი; IARC = IARC მონოგრაფიები ადამიანებისადმი კანცეროგენური რისკების შეფასებაზე; ICSC = ქიმიური უსაფრთხოების საერთაშორისო ბარათი; JMPR = შეფასება FAO/WHO ერთობლივი შეხვედრის მიერ პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებით.

შენიშვნები Ia კლასის

1. კალციუმის ციანიდი Ia კლასშია, რადგან იგი ტენიან გარემოში წარმოქმნის ციანწყალბადის აირს. ციანწყალბადი სასიკვდილოა გადაყლაპვის, კანთან კონტაქტის ან ინჰალაციის დროს (ICSC 492).
2. კაპტაფოლი კანცეროგენურია როგორც ვირთაგვებში, ასევე თაგვებში.
3. ალდიკარბის, კაპტაფოლის, ჰექსაქლორბენზოლის, ვერცხლისწყლის ნაერთების, პარათიონის, პარათიონ-მეთილის, ფორატის და ფოსფამიდონის საერთაშორისო ვაჭრობა რეგულირდება როტერდამის კონვენციით, წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ (იხ. <http://www.pic.int/>), რომელიც შევიდა ძალაში 2004 წლის 24 თებერვალს და შემდეგ შესწორდა. იხილეთ ცხრილი 7, გვ. 65.
4. ცნობილია, რომ EPN იწვევს ქათმებში დაგვიანებულ ნეიროტოქსიკურობას.
5. ჰექსაქლორბენზოლმა ადამიანებში პორფირიის სერიოზული აფეთქება გამოიწვია. ჰექსაქლორბენზოლის გამოყენება და წარმოება მკაცრად იზღუდება სტოკჰოლმის კონვენციით მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ (იხ. <http://www.pops.int/>), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 17 მაისს და შემდგომ შეტანილ იქნა ცვლილებები.
6. ამ ნივთიერებით მოწამელისას დაფიქსირდა სიკვდილიანობის მაღალი შემთხვევები (Dawson et al, 2010).
7. ფენილის ვერცხლისწყლის აცეტატი ძალზე ტოქსიკურია ძუძუმწოვრებისთვის და ძალიან მცირე დოზებმა გამოიწვია თირკმლის დაზიანება, ვირთაგვებში - ტერატოგენული ეფექტი.

თითოეული პროდუქტის საბოლოო კლასიფიკაცია დამოკიდებულია მის ფორმულაციაზე

ცხრილი 2. ძლიერ საშიში (I კლასი) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში

საერთო დასახელება	CAS №	UN №	ქიმ. ტიპი	ფიზ მდგ	ძირით გამოყ	GHS	LD ₅₀ მგ/კგ	შენიშვნა
აზამექტინი[ISO]	71751-41-2	2588		მ	აკ, ი, ნ	2	8.7	JMPR 2015
აკროლეინი[C]	107-02-8	1092		თ	ჰ	2	29	EHC 127; HSG 67; ICSC 90
ალილის სპირტი[C]	107-18-6	1098		თ	ჰ	3	64	კანის და თვალის ძლიერი გაღიზიანება; ICSC95; შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
აზინფოს -ეთილი[ISO]	2642-71-9	2783	ფო	მ	ი	2	12	JMPR 1973
აზინფოს-მეთილი[ISO]	86-50-0	2783	ფო	მ	ი	2	16	იხ. შენიშვნა 2; ICSC 826; JMPR 1992, 2007
ბლასტიციდინი-5	2079-00-7	2588		მ	ფ	2	16	ICSC 1758
ბრომფოს-ეთილი[ISO]	4824-78-6		ფო	თ	ი	3	71	შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
ბუტოკარბოქსიმი[ISO]	34681-10-2	2992	კარბა	თ	ი	3	158	JMPR 1985; შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
ბუტოქსიკარბოქსიმი[ISO]	34681-23-7	2992	კარბ	თ	ი	3	D288	შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
კადუსაფოსი[ISO]	95465-99-9	3018	ფო	თ	ნ, ი	2	30	JMPR 2009
კალციუმისარსენატი[C]	7778-44-1	1573	დნ	მ	ი	2	20	EHC18,224; IARC84(იხ. შენიშვნა 5); ICSC765; JMPR1969
კარბოფურანი [ISO]	1563-66-2	2757	კარბა	მ	ი	2	8	იხ. შენიშვნა 2; ICSC 122; JMPR 1996, 2002, 2008
ქლორფენვინფოსი [ISO]	470-90-6	3018	ფო	თ	ი	2	31	ICSC 1305; JMPR 1994
3-ქლორო-1,2-პროპანდიოლი[C]	96-24-2	2689		თ	რ	3	112	IARC101(გზუფი 2B); ICSC1664; შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 1 და 3)
კუმაფოსი [ISO]	56-72-4	2783	ფო	მ	აკ, მტ	2	7.1	ICSC 422; JMPR 1990
კუმატეტრალილი [ISO]	5836-29-3	3027	ქო	მ	რ	2	16	
ციფლუტრინი [ISO]	68359-37-5		პი	მ	ი	2	c15	ICSC 1764; JMPR 2006; იხ. შენიშვნა 4
ბეტა-ციფლუტრინი [ISO]	1820573-27-0		პი	მ	ი	2	c11	JMPR 2006; იხ. შენიშვნა 4

ცხრილი 2. ძლიერ საშიში (Ibკლასი) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში (გაგრძ.)

საერთო დასახელება	CAS №	UN №	ქიმ. ტიპი	ფიზ მდგ	ძირით გამოყ	GHS	LD ₅₀ მგ/კგ	შენიშვნა
დიმეტონ-S-მეთილი [ISO]	919-86-8	3018	ფო	თ	ი	2	40	EHC 197; ICSC 705; JMPR 1989
დიქლორვოსი [ISO]	62-73-7	3018	ფო	თ	ი	3	57- 108	აქროლადი;EHC79;HSG18;IARC53(ჯგუფი2B);ICSC690; JMPR1993,2011; შესწორებული კლასიფიკაცია;(იხ. შენიშვნა 3)
დიკროტოფოსი [ISO]	141-66-2	3018	ფო	თ	ი	2	22	ICSC 872
დინოტერბი [ISO]	1420-07-1	2779	ნფ	მ	ჰ	2	25	
DNOC (დინიტრო ორთო კრეზოლი)[ISO]	534-52-1	1598	ნფ	მ	ი-ნ,ჰ	2	25	JMPR 1965a; EHC 220; ICSC 462. იხ. შენიშვნა 2.
ედიფენფოსი [ISO]	17109-49-8	3018	ფო	თ	ფ	3	150	JMPR 1981. შესწორებული კლასიფიკაცია;(იხ. შენიშვნა 3)
ეთიოფენკარბი [ISO]	29973-13-5	2992	კარბ	თ	ი	3	200	ICSC 1754;JMPR1982. შესწორებული კლასიფიკაცია;(იხ. შენიშვნა 3)
ფამფური	52-85-7	2783	ფო	მ	ი	2	48	
ფენამიფოსი [ISO]	22224-92-6	2783	ფო	მ	ნ	2	15	ICSC 483; JMPR 1997, 2002
ფლუციტრინატი [ISO]	70124-77-5	3352	პი	თ	ი	3	c67	JMPR1985;იხ. შენიშვნა 4; შესწორებული კლასიფიკაცია;(იხ. შენიშვნა 3)
ფთორაცეტამიდი [C]	640-19-7	2588		მ	რ	2	13	ICSC 1434. იხ. შენიშვნა 2
ფორმეტანატი[ISO]	22259-30-9	2757	კარბა	მ	აკ	2	21	
ფურათიოკარბი	65907-30-4	2992	კარბა	თ	ი-ნ	2	42	
ჰეპტენოფოსი [ISO]	23560-59-0	3018	ფო	თ	ი	3	96	შესწორებული კლასიფიკაცია;(იხ. შენიშვნა 3)
იზოქსათიონი [ISO]	18854-01-8	3018	ფო	თ	ი	3	112	შესწორებული კლასიფიკაცია;(იხ. შენიშვნა 3)
ტყვიის არსენატი [C]	7784-40-9	1617	As	მ	ლ	2	c10	EHC 18, 224; ICSC 911; JMPR 1969
მიკარბამი [ISO]	2595-54-2	3018	ფო	ზეთი	ი	2	36	ICSC 1755; JMPR 1986
ვერცხლისწყლის ოქსიდი[ISO]	21908-53-2	1641	Hg	მ	სხვა	2	18	ICSC 981; CICAD 50. იხ.შნიშვნა 2
მეთამილოფოსი [ISO]	10265-92-6	2783	ფო	მ	ი	2	30	HSG 79; ICSC 176; JMPR 1990, 2002; იხ. შენიშვნა 2
მეთიდათიონი [ISO]	950-37-8	3018	ფო	თ	ი	2	25	ICSC 1659; JMPR 1997

ცხრილი 2. ძლიერ საშიში (Ibკლასი) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში (გაგრძ.)

საერთო დასახელება	CAS №	UN №	ქიმ. ტიპი	ფიზ. მდგ.	ძირით. გამოყ.	GHS	LD ₅₀ მგ/კგ	შენიშვნა
მეთიოკარბი [ISO]	2032-65-7	2757	კარბ.	მ.	ი.	2	20	ICSC 1766; JMPR 1998
მეთომილი [ISO]	16752-77-5	2757	კარბ.	მ.	ი.	2	17	EHC 178; HSG 97; ICSC 177, JMPR 1989, 2001
მონოკროტოფოსი [ISO]	6923-22-4	2783	ფო.	მ.	ი.	2	14	იხ. შენიშვნა 2; HSG80; ICSC181; JMPR1995; სასიკვდილო შემთხვევების ზრდა-იხ. შენიშვნა 6
ნიკოტინი [ISO]	54-11-5	1654		თ.		1	D50	ICSC 519
ომეთოპატი [ISO]	1113-02-6	3018	ფო.	თ.	ი.	2	50	JMPR 1985; 1996
ოქსიდმეტონ-მეთილი [ISO]	301-12-2	3018	ფო.	თ.	ი.	3	65	JMPR1989, 2002; შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
პარიზის მწვანე [C]	12002-03-8	1585	As	მ.	ლ.	2	22	სპილენძ-დარიშხანის კომპლექსი
პენტაქლოროფენოლი [ISO]	87-86-5	3155		მ.	ი, ფ, კ.	2	D80	იხ. შენიშვნა 2; კანის გამაღიზიანებელი; EHC71; HSG19; IARC117 (ჯგუფი 1); ICSC69
პროპეტამფოსი [ISO]	31218-83-4	3018	ფო.	თ.	ი.	3	106	შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
ნატრიუმის არსენიტი [C]	7784-46-5	2027	As	მ.	რ.	2	10	EHC 224; IARC 84 (იხ. შენიშვნა 5); ICSC 1603
ნატრიუმის ციანიდი [C]	143-33-9	1689		მ.	რ.	2	6	ICSC 1118; CICAD 61
სტრიქნინი [C]	57-24-9	1692		მ.	რ.	2	16	ICSC 197
ტეფლუტრინი	79538-32-2	3349	პი.	მ.	ი-ნ.	2	c22	იხ. შენიშვნა 4
თალიუმის სულფატი [C]	7446-18-6	1707		მ.	რ.	2	11	EHC 182; ICSC 336
თიოფანოქსი [ISO]	39196-18-4	2757	კარბ.	მ.	ი-ნ.	2	8	
თიომეტონი [ISO]	640-15-3	3018	ფო.	ზეთი	ი.	3	120	ICSC 580; JMPR 1979; შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
ტრიაზოფოსი [ISO]	24017-47-8	3018	ფო.	თ.	ი.	3	82	JMPR1993, 2002; შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
ვამილოთიონი [ISO]	2275-23-2	3018	ფო.	თ.	ი.	3	103	JMPR 1988; ICSC 758; შესწორებული კლასიფიკაცია; (იხ. შენიშვნა 3)
ვარფარინი [ISO]	81-81-2	3027	ქო.	მ.	რ.	2	10	EHC 175; HSG 96; ICSC 821
თუთიის ფოსფიდი [C]	1314-84-7	1714		მ.	რ.	2	40.5	EHC 73; ICSC 602

ცხრილი 2. ძლიერ საშიში (კლასი Ib) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში (გაგრძ.)

EHC = გარემოს ჯანმრთელობის კრიტერიუმების მონოგრაფია; HSG = ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გზამკვლევი; IARC = IARC მონოგრაფიები ადამიანებისადმი კანცეროგენული რისკების შეფასებაზე; ICSC = ქიმიური უსაფრთხოების საერთაშორისო ბარათი; JMPR = შეფასება FAO/WHO ერთობლივი შეხვედრის მიერ პესტიციდების ნარჩენებთან დაკავშირებით.

შეზღუდვები Ib კლასისათვის

1. 3-ქლორ-1,2-პროპანდიოლი არა ლეტალური დოზით არის სტერილანტი მამრი ვირთაგვებისათვის. ეს ნივთიერება აგრეთვე ცნობილია, როგორც ალფა-ქლორიდინი.
2. აზინფოს-მეთილის, კარბოფურანის, DNOC, ფთორურაკატის, ვერცხლისწყლის ნაერთების, მეთამიდოფოსის, მონოკროტოფოსის და პენტაქლოროფენოლის საერთაშორისო ვაჭრობა რეგულირდება როტერდამის კონვენციით წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ (იხ. <http://www.pic.int/>), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 24 თებერვალს და შემდგომში შესწორდა. იხ. ცხრილი 7. გარდა ამისა, პენტაქლოროფენოლისა და მისი მარილებისა და ეთერების წარმოება და გამოყენება მკაცრად არის შეზღუდული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენციით (იხ. <http://www.pops.int/>), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 17 მაისს და შემდგომში შეტანილ იქნა ცვლილებები.
3. როგორც სიფრთხილის ღონისძიება, გარკვეული თხევადი პესტიციდების კლასიფიკაცია შესწორებულ იქნა, რათა ჯანმოს კლასიფიკაციის GHS-თან შესაბამისობაში მოყვანისას თავიდან ყოფილიყო აცილებული ამ პესტიციდების შეტანა საშიშროების კლასში. დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ იქნა ჯანმოს კლასიფიკაცია GHS-ის მწვავე ტოქსიკური საშიშროების კატეგორიებთან შესაბამისობაში მოყვანილი, აღწერილია II.4. ნაწილის შესავალ შენიშვნებში. პირეთროიდების ტოქსიკურობის მონაცემები ძალზე ცვალებადია. მათზე გავლენას ახდენს იზომერული კოეფიციენტები, პერორალური მიღებისათვის გამოყენებული გამხსნელი და საცდელი ცხოველების გარემო პირობები, მაგ. დოზირებამდე შიმშილი. ვარიანტებია აისახება LD50 მნიშვნელობის წინ პრეფიქსი "c"-თი. კლასიფიკაციისთვის შერჩეული LD50 მნიშვნელობა ზოგადად ემყარება მიღებას სიმინდის ზეთით და შეიძლება გაცილებით დაბალი იყოს წყალხსნარებით მიღებისას. ეს ხაზს უსვამს კლასიფიკაციის საჭიროებას ფორმულაციის მიხედვით, თუ კლასიფიკაცია ასახავს ჭეშმარიტ საფრთხეს.
4. IARC მონოგრაფია 84-ში ნაჩვენებია, რომ ექსპერიმენტულ ცხოველებში არსებობს შეზღუდული მტკიცებულებები კალციუმის არსენატის და ნატრიუმის არსენიტის კანცეროგენურობის შესახებ (IARC 84).
5. ამ ნივთიერებით მოწამვლის შემთხვევებში დაფიქსირებულია მაღალი სიკვდილიანობა (Dawson et al, 2010).

თითოეული პროდუქტის საბოლოო
კლასიფიკაცია დამოკიდებულია მის
ფორმულაციაზე

ცხრილი 3. საშუალოდ საშიში (II კლასი) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში

საერთო დასახელება	CAS №	UN №	ქიმ. ტიპი	ფიზ მდგ	ძირით გამოყ	GHS	LD ₅₀ მგ/კგ	შენიშვნა
აცეფატი [ISO]	30560-19-1		ფო	მ	ი	4	945	JMPR 1990, 2002, 2005; ICSC 748
აცეტამიპრიდი [ISO]	135410-20-7	2588		მ	ი	3	c140	JMPR 2011
აციფთოროფენი [ISO]	50594-66-6			მ	ჰ	4	1370	თვალის ძლიერი გამაღიზიანებელი
ალახლორი [ISO]	15972-60-8	2588		მ	ჰ	4	930	იხ. შენიშვნა 1 და 3; ICSC 371
ალიკარბი [ISO]	83130-01-2		კარბ	მ	ი	4	330	
ალლეტრინი [ISO]	584-79-2		პი	ზეთი	ი	4	c685	იხ. შენიშვნა 10; EHC87; HSG24; ICSC212; JMPR1965a
ალლიდოქლორი [ISO]	93-71-0			თ	ჰ	3	700	კანის და თვალის გამაღიზიანებელი
ამეტრინი [ISO]	834-12-8		ტრია	მ	ჰ	4	110	
ამიტრაზი [ISO]	33089-61-1			მ	დნ	4	800	ICSC 98; JMPR 1998
ანილოფოსი [ISO]	64249-01-0		ფო	მ	ჰ	4	472	
აზაკონაზოლი	60207-31-0			მ	ფ	4	308	
აზამეთიოფოსი [ISO]	35575-96-3		ფო	მ	ი	4	1010	
აზოცილოტინი [ISO]	41083-11-8	2786	ონ	მ	დნ	3	80	JMPR 1989, 1994, 2005
ბარბანი [ISO]	101-27-9			მ	ჰ	4	1300	
ბენდიოკარბი [ISO]	22781-23-3	2757	კარბ	მ	ი	3	55	
ბენფურაკარბი [ISO]	82560-54-1	2992	კარბ	თ	ი	3	205	
ბენსულიდი [ISO]	741-58-2	2902		თ	ჰ	3	270	ICSC 383
ბენსულტავი [ISO]	17606-31-4			მ	ი	4	1100	
ბენტაზონი [ISO]	25057-89-0			მ	ჰ	4	1100	HSG 48; ICSC 828; JMPR 1998, 2004, 2012, 2016
ბენზოვინდიფლუპირი [ISO*]	1072957-71-1	2588	პზ	მ	ფ	3	55	JMPR 2013
ბიფენტრინი	82657-04-3	3349	პი	მ	ი	3	c55	JMPR 1992, 2009
ბილანაფოსი [ISO]	71048-99-2			მ	ჰ	3	268	

ცხრილი 3. საშუალოდ საშიში (II კლასი) ტექნიკური კატეგორიის აქტიური ინგრედიენტები პესტიციდებში(გაგრძ.)

საერთო დასახელება	CAS №	UN №	ქიმ. ტიპი	ფიზ მდგ	ძირით გამოყ	GHS	LD ₅₀ მგ/კგ	შენიშვნა
ბიოალღეტრინი [C]	260359-57-7		პი	თ	ი	4	c700	იხ.შენიშვნა 2 და 10; ICSC 227
ბის(ტრიბუტილტინი) ოქსიდი [C]	56-35-9			თ	ფ,მ	3	194	იხ.შენიშვნა 3; EHC 15; კანის გამაღიზიანებელი
ბრომოფენოქსიმი [ISO]	13181-17-4			მ	ჰ	4	1217	
ბრომოფოსი [ISO]	2104-96-3		ფო	მ	ი	4	c1600	
ბრომოქსინილი [ISO]	1689-84-5	2588		მ	ჰ	3	190	
ბრომუკონაზოლი	116255-48-2			მ	ფ	4	365	ICSC 1264
ბრონოპოლი	52-51-7	3241		მ	ბ	3	254	ICSC 415
ბუტამიფოსი [ISO]	36335-67-8		ფო	თ	ჰ	4	630	
ბუტრალინი [ISO]	33629-47-9			მ	ჰ	4	1049	
ბუტროქსიდიმი [ISO]	138164-12-2			მ	ჰ	4	1635	
ბუტილამინი [ISO]	13952-84-6	1992		თ	ფ	4	380	კანის გამაღიზიანებელი; ICSC 401; JMPR 1981, 1984
